ცნობის ფურცელი

№ 2250 პარასკევი, 29 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2250

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ვეტიტის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

დღესასწაულისა გამო შემდეგი მე-2251 ნომერი გამოვა კვირას, 31 აგვისტოს.

2 მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ იმის აგენტს სოსიკო მერკვილაძეს ქუთაისში შაბათს, 23 აგვისტოს,

დაეკარგა

ქ. დრ. საზოგადოების საწევრო საკვიტანციო წიგნაკი № 6, რომელშიაც 24 ბარათია, მხოლოდ პირველი ფურცელი ამოჭრილია და კუპონზე აწერია—მიტროფანე ლაღიძე.

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს, ვინც იპოვნოს, გადასცეს მიტროფანე ლაღიძეს, ან გამოგზავნოს ტფილისში ქარ. დრ. საზოგადოების სახელზე. (3—ყ.—2)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(კლდისუბნის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2 მდე. საღამო საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1 მდე და საღამოობით 5—7-მდე. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ე. ზ. კანდელაკი

გადავიდა ვერის ხიდისკენ ჩასვლის დასაწყისში, ზემელის აფთიაქთან, ვილნერის სახლში, № 2. ღებულობს კბილის სნეულებით ავადმყოფებს: დილის 9—2 საათ. და ნაშუადღევის 4—7 მდე. (6—3)

ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

მოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7 დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—5.—13)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ბედიანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მიმინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. ზ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. ბედიანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ვენერიული სენი და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს თავისი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: ქუჩა, ველიკოკნიაჟესკაის ქუჩა, სახლი ასრიცოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წდ.) **ტელეფონი № 274.**

საზღვარ-გარედ

მაკედონია. საფრანგეთიდან სწერენ გერმანულ გაზეთებს: გენერალი ცონჩევი და პოლკოვნიკი იანკოვი ბოლგარიის საზღვარს გადავიდნენ და პირიან-დაღისა და ზემო სტრუმის ახლო ხალხი ააჯანყესო. ამ აჯანყებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ პირიან-დაღის და ზემო სტრუმის ოლქები ბოლგარიის საზღვარს აკრავს. მაკედონიის კომიტეტებმა ჯერ კიდევ ზაფხულში გამოაცხადეს, მკა რომ გათავდება, აჯანყება მაშინ გაძლიერდებაო. იმედია, აჯანყება ზამთრის პირამდე არ დასცხრება. იქნება რევოლიუციონურმა კომიტეტებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ ასაღელვებელი და მოულოდნელი საქციელი ჩაიდინონ.

◆ ოსმალეთის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, ამას წინად სმილევსა, ნევესკასა და კნისაროს ახლო მომხდარ ბრძოლის დროს 1,500 ბოლგარია მოკლულიო.

◆ დიდ გაჭირვებას ითმენს თურმე მონასტირის ვილაეტი. ვილაეტში 800 ათასი მცხოვრებელი ითვლება. სავები სურსათი სამს კვირას თუ ეყოფა ხალხსა. ბევრი კვდება შიმშილისაგან; დაუმარხავი გვამები სახლებში იხრწნება.

◆ კონსულ როსტკოვსკის მოკვლის შემდეგ, ოსმალეთის მთავრობამ მონასტირის გენერალ-გუბერნატორი (ვალი) ალი-რიზაფაშა გადააყენა და იმის მაგიერ ხაზიმ-ბეი დანიშნა. ხაზიმ-ბეი 41 წლისაა, განათლებული და დამსახურებული კაცია.

◆ ინგლისელ ედით დორგემს ამას წინად მაკედონიაში უმოგზაურნია და ეხლა ჟურნალ „მანტლი რევიუ"-ში თავის შთაბეჭდილებას მკითხველებს უზიარებს. დორგემი სწერს: ყველა აქაური ქრისტიანი იმ აზრისაა, რომ ოსმალები უსათუოდ უნდა განდევნენო ევროპიდან, თორემ უამისოდ მაკედონიას არა ეშველება-რაო. ყველა აქაური ერი დარწმუნებულია, რომ ბალკანეთის ერებმა თავიანთ თავს თითონ უნდა უშველონ. ერთ ადგილობრივ მცხოვრებელს უთქვამს დორგემისათვის: „ევროპამ ჩვენი არა იცის რა, ჩვენი არა ესმის, რა ჩვენთვის არას ჰფიქრობს, რაკი სხვა არავინა გვშველის, ჩვენ თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. აჯანყების საქმე კარგადაა მოწყობილი. დიდი ხანია ჩვენ ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში აგენტები გვყავს. კარგადაც ვართ შეიარაღებული. ხალხი თავს ანაცვალებს თავისუფლებას. ყველაფერი მზადაა და ჩვენც მალე მოქმედებას დავიწყებთ". ეს სიტყვები წარსულ ივლისშია ნათქვამი და აკი მაკედონელებმა მართლაც დაიწყეს მოქმედება.

◆ „ნოიე ფრაიე პრესე"-ს სოლუნელი კორესპონდენტი შემდეგს მოგვითხრობს კულელი-ბურგასთან მომხდარ აფეთქებაზე: „ერთი ჩემი ნაცნობი სოფიიდან სოლუნში აპირებდა წამოსვლას. სწორედ იმ მატარებლით უნდა წამოსულიყო თურმე, რომელზედაც აფეთქება მოხდა. ჩემი ნაცნობი სულ მზად იყო წამოსასვლელად, ჩემოდანი დაკეტა კიდეც. სწორედ ამ დროს იმის ოთახში ბოლგარი მეგობარი მისულა, არაფერი არ აუხსნია და გადაჭრით უთქვამს: ერთის ან ორის დღით სოფიაში უნდა დარჩეთო. ჩემს მეგობარს ეკითხა გაკვირვებით: რა ამბავია, რად მირჩევთ დარჩენასო? ბოლგარს მოკლედ მიუგია: „მეტს ნურაფერსა მკითხავთ, გეუბნებით სოფიაში უნდა დარჩეთო, სხვა არა იყოს-რა, დღეს სადილად არ უნდა მეწვიოთ; როგორღა წახვალთო?" მეორე დღეს ჩემმა მეგობარმა კულელი-ბურგასში მომხდარ აფეთქების ამბავი გაიგო და მაშინვე თავის მეგობარ ბოლგართან გაიქცა მადლობის გადასახდელად, მაგრამ ბოლგარი სოფიაში ველარ იპოვნა: —სვისტოვოში წასულიყო. ჩემ მეგობარს სახლობა სოლუნში ჰყავდა. დეპეშა უნდა მიეწერა, მაგრამ გაიგო, დეპეშას ხუთ დღეზე ადრე ვერ მიიღებენო, ჩამჯდარიყო მატარებელში და თითონ წამოსულიყო. სტამბოლზე გავლის დროს ჩემს მეგობარს ეს ამბავი აღმოსავლეთ რკინის გზის უმაღლესს მოსამსახურესთვის დაწვრილებით ეამბნა. მოსამსახურეს ეთქვა: „ეხლა ყველაფერი გავიგე. რევოლიუციონური კომიტეტი რკინის გზაზე მოსამსახურე ბოლგარელებსა მქრთამავს; სამწუხაროდ, ძლიერ ბევრი ბოლგარი მსახურობს ჩვენს გზაზე, მაგრამ მე მაინც გაფრთხილდები და თვალყურიანად ვიქნებიო".

◆ რუსული გაზეთი „ნოვოსტი" იუწყება: მაკედონიიდან პეტერბურგში დეპუტაცია წამოვიდა ეპისკოპოს სიმეონის მეთაურობით. დეპუტაციას აზრად აქვს, ევროპის დიდ სახელმწიფოებს სთხოვოს, რომ ბერლინის ხელშეკრულობის მე-23 მუხლი აასრულებინონ ოსმალეთს; ეს ერთად-ერთი საშუალებაა, თუ უნდათ, რომ მაკედონიაში ძალ-მომრეობა მოისპოს და იქაური ქრისტიანები სულ არ გასწყდნენ.

ოსმალეთი. ამ დღეებში ხონთქარის ტახტზე ასვლის დღე იდღესასწაულეს სტამბოლში. ყველას ეშინოდა, რომ მაკედონელი რევოლიუციონერები ამ დღეს სტამბოლში დიდ აფეთქებას მოახდენენო. ოსმალეთის მთავრობამ სიფრთხილის გულისათვის სტამბოლში ყველა საეჭვო ბოლგარი დააპატიმრა და ყველა უცხო სახელმწიფოს ელჩები წინადვე გააფრთხილა. მაგრამ ეს შიში და გაფრთხილება ტყუილი გამოდგა. უცხოეთის საელჩოებისათვის არავის არა დაუშავებია-რა; არც აღმოსავლეთ რკინის გზის დიდი ვაგზალი აუფეთქებიათ. წესიერება სრულიად არ დაურღვევიათ. ქუჩები მშვენივრად იყო მორთული; ბოლგარების გამოჯავრებული, ბერძნებმაც კარგად მორთეს თავიანთი სახლები. ოსმალეთის კომისიარიატში უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ მიღების დროს ბოლგარიის ოფიციალური წარმომადგენელი არავინ მნსულა. მარტო ბოლგარიის მთავარმა ფერდინანდმა გამოჰგზავნა თავისი ადიუტანტი და მდივანი. დღესასწაულის წინა დღეებში რევოლიუციონურ კომიტეტს თავისი მოთხოვნილება პირდაპირ ხონთქრის სასახლეში გამოეგზავნა. ოსმალეთის მთავრობამ ესეც მუქარად მიიღო და უფრო ბევრი გასაფრთხილებელი ღონისძიება მიიღო. დღესასწაულის შემდეგ, ყველა ეჭვით დატუსაღებული ბოლგარი გაანთავისუფლეს.

◆ კონსულ როსტკოვსკის მკვლელს ჟანდარმს ჰალიმს სიკვდილით დასჯის წინ უთქვამს:

„უდანაშაულო ვარ. თუ ხონთქარს ჰნებავს, იმისი ნება ასრულდეს, ვემორჩილები, მაგრამ სიკვდილის წინ მინდა გამოვაცხადო"...

მაგრამ იმ წამსვე სიტყვა გააწყვეტინეს და ყელზე თოკი მოაბეს. დიდ-ძალი ოსმალი დადის ჰალიმის საფლავზე და კონსულის მკვლელის სამარეს ყვავილებით ამკობს.

◆ გერმანულ გაზეთებს არა სჯერათ, რომ რუსეთის ელჩს სტამბოლში ნამდვილად მუქარის წერილები მიჰსვლოდეს ოსმალებისაგან.

იაპონია. გაზეთები დღემდე ბევრსა სწერენ იაპონიისა და რუსეთის ურთიერთობაზე და ამტკიცებენ, რომ ამ ორ სახელმწიფოს მალე უსათუოდ ომი აუტყდებათო. ვითომ ორივე სახელმწიფო ბეჯითად ემზადებოდეს ომისათვისაო: ორივე ჯარს და ფლოტს აძლიერებდეს. „რუსეთის სააგენტოს" წარმომადგენელს ლონდონში იაპონიის ელჩი ბარონი გაიამი უნახავს და ამ მოსალოდნელ ომის თაობაზე უკითხავს. იაპონიის ელჩს უთქვამს:

„ამ ჟამად პეტერბურგში იაპონიისა და რუსეთის წარმომადგენლებს მოლაპარაკება აქვთ გამართული მორიგების თაობაზე. კერძო საუბარში, რასაკვირველია, ვერას გეტყვით ამ მოლაპარაკებაზე, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ იაპონია და რუსეთი მალე მორიგებით გაათავებენ ყველა იმ დავას, რაც კი შორეულ აღმოსავლეთში მოსდით. ადრევაც გამოვაცხადე და კიდევ ერთხელ ვაცხადებ პროტესტს იმ ხმების წინააღმდეგ, ვითომ იაპონიას რუსეთთან ომი სწყუროდეს. იაპონიაშიაც და რუსეთშიაც, რაღა თქმა უნდა, ბევრსა სწადიან ომი, მაგრამ სახელმწიფო კაცები როდი ასდევენ ამ შოვინისტებს. უნდა მოგახსენოთ, რომ კორეიაში იაპონია ბევრს არას თხოულობს. ჩემის აზრით, იაპონიას არაფერი სერიოზული საბუთი არა აქვს, რომ კორეისა ან თუ გინდ მანჯურიის გულისთვის რუსეთს ომი გამოუცხადოს. რუსეთმა პირობა მისცა ამერიკას, მანჯურიიდან უსათუოდ მომავალ ოქტომბერში გაიყვანს ჯარსაო, და დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთი თავის პირობას უსათუოდ აასრულებს. ამაში ეჭვი არა გვაქვს; ყველა წვრილმან დავას კი რუსეთი და იაპონია, ვიმეორებ, პატიოსნადა და მეგობრულად გადასწყვეტენ. რუსეთისა და იაპონიის გადაკიდებას ბევრნი ცდილობენ; ეს ძლიერ სამწუხაროდ მიმაჩნია."

ინგლისი. ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტის ბედი უმთავრესად მუშა ხალხის ხელშია. მართალია, მუშების წარმომადგენლებმა და ტრედ-უნიონებმა ,ბევრგან პროტესტი გამოაცხადეს ბაჟების დაწესების წინააღმდეგ, მაგრამ ჩემბერლენის მომხრე მუშებიც არიან ინგლისში. ამას წინად ჩემბერლენს შეატყობინეს, რომ ტრედ-უნიონების მომავალ კონგრესს ბაჟების თაობაზე რეზოლიუციას წარუდგენენო; რეზოლიუციაში ნათქვამი იქნება, რომ ჩემბერლენის წინადადება მეტად მავნებელი და საშიშია, ამიტომ მუშებმა ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტი უნდა დაჰგმონო. ამის პასუხად კოლონიების მინისტრმა ფურცელი გამოსცა სათაურით: „ტრედ-უნიონისტების აზრი". ეს ფურცელი „ლონდონის მუშების საბჭოს" მდივანმა მაკდონალდმა დასწერა.—თავის პამფლეტში მაკდონალდი ამბობს, მუშების ორი მესამედი ჩემბერლენის პროექტს მიემხრობაო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ტრედ-უნიონისტები სხვანაირად მოიქცნენო. ერთს ინგლისელს მაკდონალდის პამფლეტი წაუკითხავს და მუშების დეპუტატ ბრადგერსტისათვის წერილით უკითხავს, რა აზრისა ხართ ამ საგანზე, მართლა ასე ბევრი მუშა მიემხრობა ჩემბერლენსაო. ბრადგერსტს უპასუხნია: „მაკდონალდის სიტყვებმა სწორედ გამაკვირვა. ჩემბერლენის პოლიტიკა უსათუოდ ყველაფერს გააძვირებს, სამუშაო ქირას შეამცირებს, სამუშაოს დააკლებს, ღარიბ ხალხს ცხოვრებას უარესად გაუჭირვებს და მარტო მონოპოლისტებს გაამდიდრებს. როგორ დავიჯერო, რომ ჩვენი მუშები ამისთანა პოლიტიკას მხარს დაუჭერენ. როცა ჩემბერლენმა სამხრეთ-აფრიკაში უსამართლო ომი ასტეხა, სამწუხაროდ, ბევრმა მუშამ დაუჭირა მხარი, მაგრამ უცხოელებთან ომი სხვაა და თავის საკუთარ ცოლ-შვილთან ომი კიდევ სულ სხვა: ჩემბერლენი ეხლა ნამდვილად მუშების ცოლ-შვილს უცხადებს ომს. არა მგონია, რომ მუშებში ბევრმა მოიწონოს ეს პოლიტიკა".

◆ ამას წინად ჩემბერლენს თავისუფალ ვაჭრობის მომხრე განთქმულ კობდენის კლუბზე ეთქვა: „კობდენის კლუბის აზრი ყურადღების ღირსი არაა, რადგან ამ დაწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებულებას უმთავრესად უცხოელები იცავენ, იმიტომ რომ უცხოელებს უნდათ, ინგლისმა იმათ საქონელს ბაჟები არ დაადოსო“. რაღა თქმა უნდა, თავისუფალ ვაჭრობის მომხრე საზოგადოებამა თუ პრესსამ ძლიერ იწყინეს და ღირსებისამებრ დააფასეს მინისტრის სიტყვები. კობდენის კლუბის მდივანმა გაროლდ კოკსმა ჩემბერლენს წერილით ბოდიში მოხდა მოსთხოვა. კოკსმა მისწერა:

„ძნელი გასაგებია, რა საბუთის ძალით, რა უფლებით დასდეთ ჩვენს კლუბს ეგეთი უსაფუძვლო, სიმართლეს მოკლებული ბრალი. თქვენ თითონ დიდ-ხანს იყავით კობდენის კლუბის თავმჯდომარედ, ზოგიერთი თქვენი ძველი მეგობარი პოლიტიკოსი დღესაც კლუბის წევრად არის. ამიტომ თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ კლუბის უმთავრესი საქმე, სხვათა შორის, ისიცაა, რომ უცხო ქვეყნებშიაც თავისუფალ ვაჭრობის დაწესებისათვის ხელი შეგვეწყო და უბაჟოდ ვაჭრობის მომხრეებისათვის მხარი დაგვეჭირა. ამ აზრით კლუბის კომიტეტმა ბევრი უცხოელი ფრიდრედერი (თავისუფალ ვაჭრობის მომხრე) კლუბის საპატიო წევრად აირჩია. კლუბთან მარტო ამ უცხოელებს აქვთ მიწერ-მოწერა და საქმე, უცხოელი წევრები საწევრო ფულს არ იხდიან და კლუბის კრებებზე ხმა არა აქვთ, ამიტომ კლუბის პოლიტიკაზედაც არაფერი გავლენა არა აქვთ.“

ახალი ამბავი

✦ **დღემდის საგლეხო საქმეებს** ორი დაწესებულა განაგებდა: საგუბერნიო გამგეობა და საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულო. ამ ჟამათ საგლეხო საქმეები მხოლოდ საგუბერნიო საკრებულომ უნდა განაგოს. ამის გამო დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, საგუბერნიო გამგეობაში კრებაა დანიშნული იმ კომისიისა, რომელმაც უნდა გადასცეს საქმეები საკრებულოს და შეიმუშაოს წეს-რიგი საქმეების წარმოებისა.

✦ ამ ჟამად განჯის გუბერნიაში სახელმწიფო მიწების გასამიჯნავად და ცნობაში მოსაყვანად მუშაობს განსაკუთრებული კომისია. გუშინ, 28 აგვისტოს, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ამ კომისიის თავმჯდომარეს აცნობა, რომ რაც განჯის გუბერნიაში ჰავითა და წყლით კარგი სახაზინო ადგილებია (თავისუფალი, რასაკვირველია,) დანიშნულია **რუსეთიდან გადმოსახლებულთა დასასახლებლადაო.** ამიტომ რაც ასეთი ადგილი იქნება, შემოფარგლეთ და ცნობები მოგვაწოდეთო.

✦ **ტფილისის ქალაქის საბჭოს პირველი** კრება შემოდგომაზე დანიშნულია 1 სექტემბრისთვის. განსახილველია 12 საქმე. სხვათა შორის, საბჭომ უნდა განიხილოს: გამგეობის დადგენილება სატრაქტირო გადასახადის გაწერის შესახებ, მოწერილობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა ტფილისში სამექანიკო სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ, მოხსენება ქალაქის გამგეობისა ცეცხლის მქრობელ რაზმის სახლის დასამთავრებლად დამატებით ფულის გადადების შესახებ და სხვა.

✦ **ესენტუკიდან გვწერენ:** ამ დღეებში კავკასიის სამკურნალო წყლებზე მყოფმა ქართველებმა განცხადება შეიტანეს წყლების დირექციაში. სწერენ, თუმცა წყლებზე აუარებელი ქართველი მოდის ყოველ წელს სამკურნალოდ და სააგარაკოდ, მაგრამ დირექცია დღემდე არა ჰზრუნავს იმათთვის და არც ერთ ქართულ გაზეთს არ იწერსო. ქართველები თხოულობდნენ, ქართულ დროგამოშვებით გამოცემათა გამოწერას. როგორც დირექციის ყოველ-დღიურ გაზეთმა გვაცნობა, დირექციას დაუდგენია მომავალწლიდან გამოიწეროს ქართული ჟურნალ-გაზეთები პიატიგორსკისა და კისლოვოდსკის სამკითხველოებისათვის.

✦ სამინისტროს წინადადებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობასთან შესდგა განსაკუთრებული **საეგზამენაციო კომისია.** ამ კომისიამ უნდა გამოსცადოს რკინის გზის მოსამსახურენი, რომელთაც სურთ მიიღონ გზის ხელოსნისა ან ნაწილის ტეხნიკოსის თანამდებობანი. კომისიის თავმჯდომარედ ინჟენერი ალფონსკია. გამოცდა დაიწყება 10 სექტემბერს.

✦ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობაში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ მცხოვრებთ ნება არ მიეცეთ **მცირე ზომის ადგილებზე საცხოვრებელ სახლების აშენებისა.** სავალდებულო დადგენილებათა მე-20 მუხლის ძალით, საცხოვრებელ სახლის აგება მცირე ადგილზე აკრძალულია. ამის გამო პროექტის წარდგენის დროს სახლის ამშენებელნი აცხადებენ, რომ დუქანი საწყობი ან სხვა რამე უნდა ავაგოთო, ნამდვილად-კი სახლს აშენებენ. ქალაქის გამგეობამ საგუბერნიო საამშენებლო განყოფილებას სთხოვა, განუმარტოს როგორ უნდა მოიქცეს გამგეობა ამ შემთხვევაში. საამშენებლო განყოფილებამ თავისი მოსაზრებანი უკვე აცნობა გამგეობას. განყოფილების აზრით, პატრონს შეუძლიან თავის ადგილზე, რაც უნდა მცირე იყოს იგი, ააგოს რანაირი სახლიც უნდა. საჭიროა მხოლოდ, რომ სახლის ამშენებელმა დაიცვას საამშენებლო წესდების ის მუხლები, რომელიც სიმაგრესა და სამკვიდრეს შეეხება.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობაში პირველ სექტემბრიდან **მუშაობა დაიწყება** დილის 9 საათიდან და დამთავრდება ნაშუადღევის 2 საათზე.

✦ 7 სექტემბერს **საძირკველი უნდა ჩაეყაროს** ზუბალაშვილის სახელობაზე განზრახულ დაუძლურებულთა სახლისა. კურთხევაზე ხმოსნებს გარდა, მიწვეულნი იქმნებიან საპატიო სტუმრებიც.

✦ საერო განათლების სამინისტრო თანახმაა თურმე გადასცეს ქალაქის თვით-მმართველობას **ტფილისში არსებული საჯარო** წიგნთ-საცავი, იმ პირობით-კი, რომ წიგნთ-საცავის გამგე სამინისტრომ დანიშნოს ხოლმე და ამას გარდა სამინისტროს უნდა გაეგზავნოს ანგარიშები წიგნთ-საცავის მოქმედების შესახებ. ამ საქმეს ქალაქის საბჭო განიხილავს.

✦ სოფელ სტეფანწმინდაში (ყაზბეგს) და სხვა სოფლებში ხევს **ყვავილი გაჩენილა.** ამის გამო დუშეთის მაზრის ექიმი ა. იაშვილი ყვავილის ამცრელთან ერთად გამგზავრებულა ხევში და 122 ყმაწვილისთვის ყვავილი აუცრია. სხვების ასაცრელად აღარა ჰყოფნიათ წამალი, რომელსაც ტფილისიდან მიელიან. ყვავილს 5 სული უმსხვერპლნია: სტეფანწმინდაში—4 და ვდოში—1.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრმა ნება დართო აგონ ის შენობანი **ამერიკულ ვაზის** სანერგესთან სოფელ საქარაში, რომელიც საჭიროა სანერგეს გასაფართოვებლად. ამ საქმისთვის გადაიდო 5656 მან. 23 კაპ.

✦ ორთაჭალის კუნძულის მებაღეებმა ამას წინად სთხოვეს ტფილისის ქალაქის გამგეობას შუამდგომლობა აღეძრა მთავრობის წინაშე **მტკვრის ტოტზე ხიდის გამართვის შესახებ.** გამგეობამ შუამდგომლობა გუბერნატორს გაუგზავნა. გუშინ საგუბერნიო გამგეობამ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ის თხოვნა, რომლითაც ორთაჭალელნი შუამდგომლობის აღძვრას თხოულობდნენ.

✦ **გაჩნამაანს** (კახეთი) სასოფლო სამკურნალოს გამგედ დაინიშნა ექიმი ვაშაკიძე.

✦ **მიგდებულ ბავშვთა მოსავლელად** საბებიო ინსტიტუტს საერობო თანხიდან გადაეცა 12,922 მანეთი.

✦ 27 აგვისტოს ტაშკენტიდან ტფილისს ჩამოვიდა სირდარიის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი კოროლკოვი.

რუსეთის ქრონიკა

✦ „ვარშავ კურ.“-ში დაბეჭდილია: რომში დიდი მითქმა მოთქმა გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ორი კათოლიკე მღვდელი ეწვია ამას წინად ლ. ნ. ტოლსტოის სოფ. იასნაია პოლიანაში და ლ ნ—ძეს სასტიკად და სიმართლით გამოუთქვამს მათთან თავისი აზრი კათოლიკეთა სარწმუნოების შესახებ. ვატიკანის ორგანომ გაჰკიცხა ეს პატერები, როგორ გაჰბედეს და თავის ნებით ეწვივნენ ტოლსტოისაო. საცოდავი „თავისნება“ პატერები რომში დაუბრუნებიათ, სადაც უთუოდ იმათ რაიმე სასჯელი მოელით.

✦ ფინანსთა სამინისტროში ამ მოკლე ხანში შეიმუშავებენ პროექტს საქარხნო რევიზორების შტატის შეცვლის შესახებ. ამ პროექტით ორი რევიზორის მაგიერ ამიერიდან ექვსი უნდა იქმნეს.

✦ პეტერბურგის ორ ქარხანაში საცდელად შემოიღებენ მუშათა სტაროსტებს. ოთხას მუშისათვის უნდა აარჩიონ 4 სტაროსტა.

✦ მოსკოვში ერთი საზარელი ბოროტმოქმედება აღმოაჩინეს. რკინის გზის სადგურზე ბაგაჟით ერთი კალათი მოვიდა და პატრონი-კი არ გამოჩნდა. კალათი შეინახეს და მეორე დღეს შეამჩნიეს, რომ იქიდან რაღაც საშინელი სიმყრალე ამოდიოდა. მოიწვიეს პოლიცია, გახსნეს კალათი და შიგ მოკლული კაცის გვამი აღმოჩნდა.

✦ სასულიერო სემინარიებში კურს-დასრულებულთ აქამდის ნება არა ჰქონდათ პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში ეგზამენი დაეჭირათ. მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით, ახლა სემინარიელებს სამთო ინსტიტუტში შესვლის ნება მისცეს, საკონკურსო ეგზამენს თუ დაიჭერენ. წელს სამთო ინსტიტუტში შესვლის მსურველთა რიცხვი 900 ყოფილა, თითო ვაკანსიაზე სამ-სამი კაცი.

✦ სტახტო ქალაქის სამედიცინო საზოგადოებებს იწვევენ საზღვარ გარეთ, მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო სამედიცინო კონგრესში, რომელიც მოხდება 1906 წელს პორტუგალიის დედა ქალაქ ლისაბონში ცნობილ დოსტაქრის პროფესსორ მანუელ დონე კოსტას თავმჯდომარეობით.

პრესსა

ამას წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული გვქონდა სენატის განმარტება იმის შესახებ, რომ კრებების თავმჯდომარეთ არა აქვთ განუსაზღვრელი უფლება არ დაუშვან კრებებზე გარეშე პირნი. მათ მხოლოდ შეუძლიანთ კრების წევრთა კერძო თათბირზე არ დაუშვან ისინი. რაც შეეხება გაზეთების კორე-

ფელეტონი

პრესსა და ლიტერატურა ინგლისში

დიდი ჟურნალები *).

არსად ევროპაში პრესსა ისე არ განვითარებულა, როგორც ინგლისში. ინგლისის პრესსის ისტორია ინგლისის საზოგადოების განვითარების ისტორიაა. ყოველმა კლასმა ინგლისში გამოცემის საკუთარი ტიპი შეიმუშავა. ამ გამოცემის ფურცლებზე სავსებით გამოიხატა თვითეულ კლასის იდეალები, მისწრაფებანი, ღირსებანი და ნაკლულევანებანი.

კერძოდ ჟურნალებმა მეტად თვალსაჩინო სამსახური გაუწიეს საზოგადოებასა და კულტურას. დღეს დიდ ჟურნალებს ინგლისში ის მნიშვნელობა აღარ აქვთ, რაც წინად ჰქონდათ, თუმცა დღესაც ასეთი ჟურნალი აუარებელ მასალას აწვდის მკითხველს. თვითეული ჟურნალი მთელი ენციკლოპედიაა: არ არის ისეთი საკითხი, ისეთი საგანი და ამბავი, რომლის შესახებაც დიდ. ჟურნალი პასუხს არ იძლეოდეს. მაგრამ საინტერესოა უფრო წარსული ამ ჟურნალებისა, იმათი ევოლიუცია. უწინ ჟურნალი მებრძოლი იყო, დღეს-კი უბრალო კრებულია.

თავისუფლება ინგლისელებმა ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს. დღეს ინგლისელ მოქალაქეს ყველაფრის შესახებ შეუძლიან წერა და ლაპარაკი. ასე არ იყო უწინ, როდესაც პროტესტის გამოცხადება საიდუმლოდ გამოცემულ პამფლეტისა ან გაზეთის შემწეობით შეიძლებოდა მხოლოდ. ეს საქმე ძნელი და საშიში იყო, ამიტომ გულადნი და ქვეყნის სამსახურით გატაცებულნი ჰბედავდნენ მხოლოდ პამფლეტებისა და გაზეთების გამოცემას. ავტორი იშვიათად თუ ასცდებოდა სატუსაღოში დაპატიმრებას ან სამარცხვინო ბოძზე მიკრობას (ასეთი სასჯელიც იყო მაშინ). იმ დროს პოლიტიკურ დასებს ჯერ არა ჰქონდათ ისეთი ორგანი, სადაც თავიანთი აზრი, სურვილი ან პროტესტი გამოეთქვათ. არც შეეძლოთ ასეთის ჟურნალის ქონა, რადგან თავისუფლად წერისა და გამოთქმის ნება სასტიკად აკრძალული იყო.

პირველი ჟურნალი, „ყოველ თვიური მიმოხილვა“, დაარსდა 1749 წელს. როგორც სათაურიდანა სჩანს და რედაქციაც აცხადებდა, ჟურნალს უნდა მიმოეხილნა და გაერჩია ის წიგნები, რაც თვის განმავლობაში გამოვიდოდა. რედაქციამ განგებ აარჩია სალიტერატურო კრიტიკის ფორმა, რადგან იმედი ჰქონდა (არც გამტყუნდა ეს იმედი), რომ ამ ფორმის მეოხებით ყველაფერს გამოსთქვამდა. მართლაც და პირველ წიგნიდანვე ჟურნალი მებრძოლ ორგანოდ გადაიქცა. ჟურნალის პირველ წერილში ავტორი არჩევდა გროვის წიგნს—„ზნეობრივ ფილოსოფიის ისტორიას“. ამ ვითომდა კრიტიკულ წერილში მიმომხილველმა წიგნის ავტორის აზრებსა და ფაქტებს ისე მოუყარა თავი, რომ საბრალმდებლო აქტი გამოვიდა ინგლისში გაბატონებულ ეკკლესიის (ანგლიკანთა ეკკლესია) წინააღმდეგ. ეკკლესია სულს უხუთავდა იმ დროს ყველას და სასტიკად სდევნიდა სხვა სარწმუნოების მომხრეთ. კიდეც ამიტომ ჟურნალმა პირველად იმის წინააღმდეგ გაილაშქრა.

მეორე წერილში არჩევდნენ ერთ წიგნს, რომელსაც სათაურად „პატრიოტიზმი“ ერქვა. კრიტიკოსი არკვევდა, რა არის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და დასასრულ აცხადებდა, რომ უდიდესი პოლიტიკური დანაშაულობა —მოქალაქეთა ინდეფერენტიზმიაო. მესამე წერილი ჟურნალისა ეხებოდა პოემას „პატრიოტს“. ამ პოემაში პატრიოტად გამოყვანილია გედეონი, ებრაელთა გმირი. კრიტიკოსის მძლიან კალმის მეოხებით, მადიანიტთა წინამძღოლმა, რომელსაც გედეონი ებრძოდა, თანამედროვე ფიზიონომია მიიღო: იგი მეტად დაემსგავსა ინგლისის მეფეს გეორგ მეორეს.

ახალმა ჟურნალმა მალე გაითქვა სახელი. დააარსა იგი რალფ გრიფიტსონმა, ვიგის დასის მომხრემ. ვინ არ იცის, ინგლისში იმ თავითვე ორი ძლიერი დასია—ტორი და ვიგი, ან, როგორც ეხლა ეძახიან, კონსერვატორები და ლიბერალები. ჟურნალი ლიბერალებისა იყო. კონსერვატორთა დასი მალე დარწმუნდა, რომ ჟურნალი ძლიერი იარაღია მოწინააღმდეგის ხელში. რადგან ჟურნალში მოხერხებულ წერილებს ათავსებდნენ, დაკეტა შეუძლებელი იყო. წერილებსა და მსჯელობას ლიტერატურული ელფერი ედო და პოლიტიკა თითქოს არსადა სჩანდა. ყველა ამის გამო კონსერვატორებმა გადასწყვიტეს, ამავე იარაღით ვებრძოლოთ ლიბერალებსაო და, აი, 1756 წელს დაარსეს საკუთარი ჟურნალი „კრიტიკული მიმოხილვა“. ამ ჟურნალმაც მალე გაითქვა სახელი, რადგან ბევრი ნიჭიერი მწერალი იღებდა მონაწილეობას. პირველმა ჟურნალებმა მიმბაძველნი მოიპოვეს და მალე გაჩნდა ახალი ჟურნალები: „ლონდონის მიმოხილვა“, „ახალი მიმოხილვა“, „ინგლისის მიმოხილვა“ და მრავალი სხვა.

ასე დაარსდა მე 18 საუკუნეში პირველი ჟურნალები. ყველაზე თვალსაჩინო, როგორცა ჰხედავთ, „ყოველ თვიური მიმოხილვა“ იყო. მაგრამ ეს ჟურნალი მეთვრამეტე საუკუნეშივე დაქვეითდა და დაწყებული საქმე სხვა ჟურნალს უანდერძა. „ყოველ თვიურ მიმოხილვის“ მოადგილე ბრძოლისა და პროტესტის საქმეში იყო „ედინბურგის მიმოხილვა“, დაარსებული 1802 წელს ახალგაზრდა ლიტერატორთა მიერ. ის იყო საფრანგეთის რევოლიუცია გათავდა. ინგლისში ამ რევოლიუციას საოცარი რეაქცია მოჰყვა. იმ დროს მთავრობისა და იმის დასის თვალში ყველაზე მეტად შოტლანდიასა ჰქონდა სახელი გატეხილი. დანიშნეს იქ მეტად სასტიკი კაცი, რომელიც ძალიან გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ყველაფერს, რომ თავისუფლებას არსად ამოეხეთქა და არ ეჩინა თავი. აი, ამ დროს დაარსდა „ედინბურგის მიმოხილვა“. ყველაფერი, რაც-კი ამ ჟურნალში იბეჭდებოდა, ასე თუ ისე მიმართული იყო გაბატონებულთა წინააღმდეგ. ამ ჟურნალმაც კრიტიკას მიჰმართა და კრიტიკის მეოხებით ჰკიცხავდა და ჰგმობდა, რაც გასაკიცხი და დასაგმობი იყო.

ამ ჟურნალის პირველ ნაწილში გაირჩა მუნიეს წიგნი. მიმომხილველი სწერდა, მუნიე თუმცა მტერი იყო მირაბოსი, მაგრამ იმ მშიშარათა წრეს მაინც არ ეკუთვნოდა, რომელნიც, რევოლიუციით დაფრთხალნი, წყევა-კრულვით იხსენიებენ თავისუფლებასაო. იმ დროინდელნი „სამშობლოს ბურჯნი“ ინ-

---

*) ამას წინად რუსულს ენაზე გამოვიდა ბ-ნ დიონეოს დიდად საყურადღებო წიგნი „Очерки современной Англіи“. ავტორი ინგლისის ცხოვრების ყველა მხარეს ეხება. სხვათა შორის, ზემოდ ამოწერილ სათაურით (პრესსა და ლიტერატურა) ბ-ნი დიონეო ბევრ საინტერესო ცნობას გადმოგვცემს ინგლისის ჟურნალ-გაზეთობისა და საზოგადოდ მწერლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპონდენტებს. საჭიროა ყოველ შემთხვევაში ყოველნაირ კრებებზე დაესწრონი, რადგან ამ გზით საზოგადოებას შეძლება ექნება თვალ-ყური ადევნოს საზოგადო დაწესებულებათა მოქმედებასო. ამ საყურადღებო განმარტებას გაზ. „ს. [illegible] ომ.“-მა მოწინავე წერილი უძღვნა, [illegible]მიაც, სხვათა შორის, ამბობს:

> სენატის განმარტება კეთილ [illegible]აბეჭდილებას მოახდენს ყველგან ჩვენ სამშობლოში, არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ ყველა მიყრუებულ ადგილებშიაც-კი.
>
> აქამდის საერობო კრებების თავმჯდომარენი და ქალაქის მოურავნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ სრული უფლება აქვთ განაძევონ კრებებიდან კერძო პირნი, და თავის სურვილისამებრ სარგებლობდენ ამ უფლებით. შეგვიძლია მრავალი მაგალითები მოვიყვანოთ კრებებიდან გარეშე პირთა განძევებისა. ყველაზე უფრო ამ საშუალებას ხმარობდნენ პატარ-პატარა სამეცნიერო, საქველმოქმედო და სამეურნეო საზოგადოებათა თავმჯდომარენი. სამედიცინო საზოგადოებათ ამ არა სასიქადულო საქმეში პირველობა ეკუთვნისთ.
>
> საყურადღებო მოვლენაა, რომ გაზეთების კორესპონდენტებს სენატის განმარტებით უფლება აქვთ კრების წევრთა კერძო თათბირსაც დაესწრან. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კრებების თავმჯდომარენი აცხადებენ დამსწრე გარეშე პირთა საყურადღებოდ, შინაურ საქმეებზე კერძოდ უნდა ვითათბიროთ და გთხოვთ გახვიდეთ კრების დარბაზიდანო. თავს იმით იმართლებენ, რომ ზოგიერთ საქმეების შესახებ საჯაროდ მსჯელობა გვეთაკილებაო. მაგალითად ამისთანა კერძო თათბირზე უნდა გამოირკვეს, რამდენად სამართლიანია კრების ამა თუ იმ წევრის შესახებ გავრცელებული ცუდი ხმები, მსჯელობენ სხვა და სხვა წევრთა მოქმედების შესახებ და სხვ. უნდა აღვიაროთ, რომ ამნაირი შემთხვევანი მოხდება ხოლმე, როგორც მხოლოდ ძლიერ იშვიათად-კი. ამისთანა შემთხვევანი მოწმობენ ჩვენ სულმოკლეობასა და სიმხდალეს. საზოგადო საქმეში მალულობას ვთამაშობთ. საზღვარ-გარედ საზოგადო მოღვაწეთ არ ერიდებიან, ყოველ მათ მოქმედებას ჯეროვნად აწონ-დაწონავენ ხოლმე, თვალ-ყურს ადევნებენ ყოველ მათ ნაბიჯს, რადგან ყველა დარწმუნებულია იქ, რომ საზოგადო მოღვაწენი აშკარად, პირ-ნათლად უნდა მოქმედებდნენ და არა ფარულად.

⁂

„დონსკაია რეჩ“-ში რამდენიმე სტრიქონითაა აღნიშნული შემდეგი: გლეხი ა. ლისტოფოროვი, რომელსაც მოხუცებულობის გამო შრომის უნარი აქვს დაკარგული, ეტაპით გაჰგზავნეს სამშობლოშიო. ამ მოკლე და საყურადღებო ამბავს ეხება გაზ. „ნოვოსტის“ თანამშრომელი და ამბობს:

> აქამდის სამშობლოში ჰგზავნიდნენ მხოლოდ სასჯელ-გარდახდილ გლეხებს, ქურდებს, ყაჩაღებს და სხვა ბოროტ-მოქმედთ. საზოგადოება თუ არ მიიღებდა იმათ, შემდეგ ციმბირში ჰგზავნიდნენ დასასახლებლად.
>
> დღეს კი სიბერე და შრომის უნარის დაკარგვა ბოროტ-მოქმედებად არის აღიარებული და ამ უძლურ მოხუცს „ბოროტ-მოქმედთ“ ტუსაღებთან ერთად ეტაპით ჰგზავნიან სამშობლოში. ყველამ ვიცით, რომ ეტაპს ჯარის კაცები, „კონვოი“ მისდევს, თვალ-ყურს ადევნიან, რომ გაგზავნილთაგანი არავინ გაიქცეს გზაში. ამ მოხუცებულ „ბოროტ-მოქმედსაც“, რომელიც ფეხებს ძლივს მიათრევს, თვალ-ყურს ადევნიდნენ, რასაკვირველია, რომ არ გაქცეულიყო. ეტაპით გაგზავნა ხომ სამარცხვინო სასჯელია ადამიანისათვის და ეს სასჯელი უნდა გადაეხადა 80 წლის ადამიანს მხოლოდ იმიტომ, რომ ღრმა სიბერე ეწია და დაუძლურდა.
>
> მერე რა ელის ამ საცოდავ გლეხს სამშობლოში? ახსოვს მას თავისი სამშობლო? ჰყავს იქ ვინმე ჭირისუფალი, რომელიც შეიბრალებს მას და ლუკმა პურს მიაწვდის, რომ შიმშილისაგან სიკვდილს გადაარჩინოს? სამშობლოში რომ ჭირისუფალი ჰყავდეს, ლისტოფოროვი სამარცხვინო ეტაპს აიცდენდა და თითონ მიაგნებდა მას რამე ნაირად.
>
> განა ცოტაა ჩვენ ქალაქებში „ლისტოფოროვები“? ჯანით სავსენი მოდიან ისინი ქალაქებში, სიმწრის ოფლით ჰშოულობენ ლუკმა პურს, ნოტიო, ტალახიან ბუნაგებში ხარჯავენ თავის ძალ-ღონეს და ძლიერ იშვიათად მიაღწევენ ხოლმე სიბერეს და ვინც მიაღწეს—ის ბოროტ-მოქმედია და სამშობლოში უნდა განაძევონ ეტაპით.
>
> ლისტოფოროვს, სამშობლოში რომ მივა, რასაკვირველია, შემდეგი სიტყვებით დაუხვდებიან სოფლელები: ვინა ხარ? ჩვენ ვერ გიცნობთ შენა. უკვე 60 წელიწადია, რაც მოშორდი აქაურობას და ახლა გინდა ჩვენ კალთას ქვეშ ამოეფარო. მართალია, აქა ხარ დაბადებული, მაგრამ განა ეს გარემოება გვავალებს, რომ მუქთა მჭამელები ვარჩინოთ? გასწი, გაუდექი გზასა!
>
> ლისტოფოროვმა ქალაქს შესწირა მთელი თავისი ძალ-ღონე, ქალაქმა გამოსწოვა მას ცხოვრების სახსარი და შემდეგ შორს გასტყორცნა, როგორც უსარგებლო რამ ნაჭუჭი.
>
> დამნაშავეა იგი თუ არა? დიახ დამნაშავეა, რომ სიბერესა და უძლურებას მიაღწია,

ამბობს „ნოვოსტი“-ს თანამშრომელი.

თეატრი

შესანიშნავ არტისტს სალვინის ეხლახან შეუსრულდა 60 წლისთავი. იტალიის მთავრობამ დაბადების დღეს გამოჩენილ ტრაგიკოსს უბოძა ოქროს მედალი. ადრესში სამინისტრო აცხადებს, რომ სალვინის, როგორც ხელოვნების წარმომადგენელს, დიდი სამსახური მიუძღვის არა მარტო იტალიის, არამედ მთელ კაცობრიობის წინაშეთ.

4 სექტემბერს სრულდება ასი წლისთავი, რაც დაიბადა გერმანელთა გამოჩენილი ტრაგიკოსი დევრიენი (1803—1872), რომელსაც სიცოცხლის დროს მთელ ევროპაში დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ჰამლეტისა, დონ-კარლოსისა, ეგმონდისა და სხვა როლების აღმასრულებელს დევრიენს სათეატრო ხელოვნების ისტორიაში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც როსსისა და სალვინის. 4 სექტემბრისათვის ფრანკფურტში გამოვა გუბენის წიგნი, სადაც ბიოგრაფიის გარდა მოქცეული, იქნება სურათები, კარიკატურები, გრავიურები და წერილები.

წერილი თელავიდან

ნახული და გაგონილი

მართლის თქმა ისე არავისა სწყინს, როგორც აქაურებს. დაიბეჭდება გაზეთში რამე თუ არა, მაშინვე მოჰყვებიან განკაშს. თუ გაიგეს ვინაა წერილის ავტორი, ვაი მისი ბრალი. ჩემი ორი წერილი გამოვგზავნე თელავიდან და ესეც საკმარისი იყო, რომ გაწიწმატებულიყვნენ, დაეწყოთ ლაპარაკი. ზოგიერთ-კი ინტერესდებოდათ, ვინ არის ეს მოსაკრავე, რომ ასე მაღლა-მაღლა სწევს ფარდასაო. დიახ, მე რომ მოსაკრავე არ ვყოფილიყავ, ვერც გავბედავდი მართლის თქმას, მაგრამ მე ცხენი შეკაზმული მეგულვის და, აი, ეს უკანასკნელი წერილია, გამოვეთხოვები თელავს და დავბრუნდები ჩემს ბუნაგში.

განა მართლის თქმა საწყენია? განა ხმა არ უნდა ამოიღოს კაცმა აქაურ ადვოკატებზე? განა არაფერი უნდა ითქვას იმაზე, რომ მთელი დღე სასამართლოში ბუდარობენ, როგორ უმნიშვნელო საქმეზე ჰკარგავენ დროს და აწვალებენ მომჩივან-მოპასუხეს, ეჭვს გარეშე, თვითონ-კი გამსუქდებიან. ესეც აშკარაა, რომ აქაურ კორესპონდენტებს გაბედვით ხმა ვერ ამოუღიათ, თორემ აქამდე განა არაფერი უნდა ეთქვათ იმაზე, რომ სამრევლო სკოლა მოთავსებულია სამიკიტნოს გვერდით, სადაც ხშირია დღისით ხმა და არყანზე ქეიფი. კიდევ ბევრია სათქმელი, მაგრამ შორი წუდათ მაქვს სავსე. თუნდაც ეს არ იყოს, ადარა მეცლიან. დედაჩემისგან შეკვეთილი წერილი მივიღე. მეხვეწებოდა, ავად რომ იყავი, სანთლები შემოგავლე თავზე დეთისებს (გწყალობდეს და გფარავდეს იმისი მადლიო) სახელზე და ეხლა ცოტა [illegible] ხარ, არ დაგავიწყდეს, წადი, სანთელი დაანთე და ილოცეო. მეც რას ვიზამდი, წავედი, შევასრულე იმისი სიტყვა. ეს ტაძარი მრავალ მლოცველს იზიდავს თურმე უფრო შაბათობით, დიდის მთელი გამოუდეგება და ადგილობრივი მლოცავი ბევრია წოდებისა და ეროვნების განურჩევლად. ამოდენა ხალხი დადის და ბაზრიდან ასავალი გზა კი ვერ არის სასურველ მდგომარეობაში, წვიმის დროს ტალახი აწუხებთ მოსიარულეთ და დარის დროს კიდევ ქვებზე ფეხები ეტკინებათ. საჭიროა ქალაქმა ან ეკლესიამ იზრუნოს, გზა გაკეთოს და ასასვლელი კიბე შეაკეთოს.

დის გადმოვე დგთაეს, გამოვეთხოვე [illegible], ვახსენე ისევ ჩემი სადღეგრძელები, ჩავჯექ ომნიბუსში, ან სწორედ რომ ვსთქვა ძალიან ჩამსვეს, რადგან ადგილი ადარ იყო, მიაწ-მოაწივნენ და ისე მომათავსეს შიგ. კიდევ მივეცი უკანასკნელი სალამი ჩვენებს, დაჰკრეს შოლტი ცხენებს და გამომაქროლეს ნაჭდრევით ტფილისისაკენ.

მოსაკრავე

დაბა-სოფლები

ს. ქუხი (იმერეთი). ქუხში, როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, არსებობს „ქუთაისის გუბერნიის პირველი მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“. ამხანაგობის საქმეები კარგად უნდა მიდიოდეს. შარშან, როგორც კრებაზე შევიტყე, ამხანაგობას მოუგია 2400 თუ 2500 მანეთი. წელს მოგება მეტს მოელიან. როგორც ამხანაგობის გამგეობის ერთმა წევრმა გადმომცა, ამხანაგობამ საზღვარ-გარეთიდან ცნობა მიიღო, რომ აბრეშუმის ფასი დღითი-დღე მატულობს ბაზარზეო. ქუხშივე არსებობს შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ამ ამხანაგობას საკმაოდ დიდი თანხა აქვს, რომელიც თითქმის მეაბრეშუმეთა ამხანაგობას უნდება. ამ ამხანაგობიდან მეაბრეშუმეთა ამხანაგობას ყოველ-წლობით გააქვს დაახლოვებით 20,000 მანეთამდე. „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის“ საქმე ძალიან კარგად მიდის.

სკოლა ამ სოფელში ერთია და ისიც დიდ გაჭირვებაშია. სკოლის შენობა ძველია, ქარი თავისუფლად დანავარდობს შიგ. სკოლას არ აბადია სწავლისათვის სახელმძღვანელო ნივთები.

ამხანაგობის დაარსებიდან ქუხის ახალგაზრდა ქალებს სამუშაო გაუჩნდათ. ყოველ დღე დაახლოვებით ასამდე ქალი მუშაობს ამხანაგობის ფარდულში. ზოგი იღებს დღეში აბაზს, ზოგი ექვს შაურს, და ზოგიც ათ შაურს. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამხანაგობა შრომას ძალიან იაფად აფასებს. პარკის რჩევა—წმენდა მეტის-მეტად ძნელი სამუშაოა. აყროლებულ პარკში ჯდომა და იმისი [illegible] შხამავს და სწამლავს ადამიანის ჯანმრთელობას.

ილია ბახტაძე.

ს. ნოსირი (სამეგრელო). ჩვენი სოფელი მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და სახნავ მიწებიც სოფლელთ ამავე მდინარის ნაპირებზედა აქვთ. იმედით სავსენი შევხაროდით ამ უკანასკნელ დრომდე მოსავალს და ვფიქრობდით, მოსავალი უშველებელი საკმაო მოგვივიდოდა, მაგრამ დადგა აგვისტო და თან მოიტანა განუწყვეტელი ავდარი, წვიმა, სეტყვა. ნათესი ფეხდგან გაფუჭებულია, სიმინდები დაწვენილი, ძარა გამოლადრული. ჭალაში, მდინარის ნაპირად ნათესი სულ ერთიანად წაღეკილია.—ხალხი

გლისში ამტკიცებდნენ, რომ რევოლიუცია შედეგი იყო წიგნებისა, განსაკუთრებით ფილოსოფოსთა წიგნებისაო. ამის გამო „ედინბურგის მიმომხილველი“ სწერდა: მუნიე დარწმუნებულია, რომ რევოლიუციის მიზეზი წეს-წყობილება იყო და არა ფილოსოფოსები და იმათი წიგნები. რევოლიუცია ყოველთვის წეს-წყობილებას მოსდევს და იქაც მოხდება, სადაც ფილოსოფოსები სულაც არ არიან. ვერაფერი შეაფერხებს რევოლიუციას, ვერც მებრძოლთა ცეცხლზე დაწვა, ვერც საპყრობილეში უთვალავ ხალხის ჩასმა და ვერც სხვ. რამეო. ჟურნალის მიმომხილველი ამ წერილით იცავდა ლიბერალთა დასის პირველ მუხლს—პიროვნების თავისუფლებას. მეორე წერილი „ედინბურგის მიმოხილვისა“ კანტის ფილოსოფიას ეხებოდა. ამ წერილით ავტორი იცავდა პროგრამის მეორე მუხლს—სინიდისის თავისუფლებას.

ასე სწერდნენ ამ საყურადღებო ჟურნალის თანამშრომელნი. საზოგადოდ „ედინბურგის მიმოხილვა“-ში ვიგის დასის საუკეთესო წარმომადგენელნი იღებდნენ მონაწილეობას. ამ ჟურნალის თანამშრომელნი იყვნენ, სხვათა შორის: გალლამში (ავტორი ინგლისის კონსტიტუციის ისტორიისა), ვილბერფორსი (მებრძოლი მონობის წინააღმდეგ), ტომას მურ, მაკ-კულახ, გამილტონ, ჯემს მილლი, მაკოლეი, კარლეილი და სხვანი. დიდ ხანს ჟურნალის სალიტერატურო კრიტიკას განაგებდა ჯეფრი, რომელმაც დააფასა და გამოარკვია მნიშვნელობა ბერნსისა, მურისა, ვალტერ სკოტისა, ბაირონისა და სხვათა.

როგორც ვთქვით, ეს ჟურნალი ლიბერალების იყო. მალე კონსერვატორებმაც დაიარსეს ახალი ჟურნალი—„სამთვიური მიმოხილვა“. დრო მიდიოდა. იცვლებოდა ცხოვრება. ბრძოლის ველზედ ახალი კლასები გამოვიდნენ. გაჩნდა ახალი საკითხები. მაგრამ „ედინბურგის მიმოხილვამ“ ძველ კვალს არ უღალატა. ოდესღაც ბრწყინვალე ჟურნალი ცხოვრებას ჩამორჩა. კარგა ხნის წინად აფრიალებული დროშა დაძველდა და გამოუსადეგარი შეიქნა. ამავე დროს კონსერვატორთა „სამთვიურმა მიმოხილვამ“ შესამჩნევად იცვალა პროგრამა. ახალმა ჟურნალმა მალე გაუსწრო „ედინბურგის მიმოხილვა“-ს. ამ ჟურნალში თან-და-თან გაჩნდა წერილები სოციალურ საკითხების შესახებ. ჟურნალი თხოულობდა მოხუცთათვის პენსიების შემოღებას, სამუშაო დროის განწესრიგებას და სხვას. მართალია, კონსერვატორებს წერა უფრო ეხალისებოდათ, ვიდრე ნაწერის განხორციელება, მაგრამ ისიც დიდი ღირსება იყო, რომ ახალ საკითხებს ეხებოდნენ.

1824 წელს დაარსდა ახალი ჟურნალი „ვესტმინსტერის მიმოხილვა“. ამ ჟურნალმა სახელი მოიპოვა ჯონ სტუარტ მილის თანამშრომლობის დროს. შესანიშნავმა პუბლიცისტმა და ფილოსოფოსმა დიდი კვალი დააჩნია ჟურნალს. „ვესტმინსტერის მიმოხილვა“-მ პირველმა განაცხადა, რომ ხალხის განათლება კერძო ინიციატივის საქმე კი არა, სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. ჟურნალი ამხედრდა აგრეთვე მაიორატების წინააღმდეგ. მეოც-და-ათე წლებში, როდესაც მილლი განშორდა, ჟურნალი დაეცა. ეს ჟურნალი დღესაც არსებობს, არსებობს აგრეთვე „ედინბურგის მიმოხილვა“-ც, მაგრამ საყურადღებო აღარც ერთი აღარ არის.

შემდეგი ჟურნალი, რომელმაც გამოჩენილ ჟურნალების საქმე განაგრძო, „ორ-კვირეული მიმოხილვა“ იყო. ამ ჟურნალის სულის ჩამდგმელი და გამაცოცხლებელი ცნობილი ჯორჯ ჰენრი ლუისი იყო. დაარსდა ჟურნალი მესამოცე წლებში. საყურადღებო ის არის, რომ ჟურნალი არც ერთ დასს არ ეკუთვნოდა და არ ემსახურებოდა. ლუისის დროს ჟურნალი შესანიშნავი იყო, მაგრამ ოქროს ხანა ჟურნალისა 1867—1882 წლ. დადგა, როდესაც ხელმძღვანელობდა დიდად ნიჭიერი პუბლიცისტი ჯონ მორლეი, ან „პატიოსანი ჯონი“, როგორც ინგლისელები ეძახიან. 1883 წელს მორლეი პარლამენტში აარჩიეს და ჟურნალი ესპატს გადაეცა.

ხანგრძლივ არსებობის დროს ჟურნალს არც ერთი ახალი საკითხი არ გამოსჩენია. როდესაც რამე ახალი აღმოჩნდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა ან ლიტერატურაში, ჟურნალი ახალ მოძღვრების უკიდურეს წარმომადგენელს შეუკვეთავდა ხოლმე წერილს. დღეს ეს ჟურნალიც არსებობს. შინაარსით ეხლაც მეტად მდიდარია. ფულის გაღებას გაზეთი არ ერიდება, ამიტომ ჟურნალში ყველაფერს შეჰხვდებით.

თანამედროვე ჟურნალებს შორის, სხვაც ბევრია საყურადღებო. არის, მაგალითად, „ჟურნალთა ჟურნალი“. ამ ჟურნალის დამაარსებელს ვილიამ სტედს მთელი ევროპა იცნობს. მეტად ცვალებადი კაცია ეს სტედი. იგი სოციალისტიც იყო, იეზუიტის თაყვანის მცემელიც, სპირიტიც. დიდის ნიჭის პატრონს სტედს ყველაფერზე გატაცებით შეუძლიან წერა. საყურადღებოა, რომ სტედს (დაიბადა 1849 წ.) სკოლა თვალითაც არ უნახავს. 14 წლისა დამტარებლად იყო მაღაზიაში და იღებდა კვირაში ორ მანეთს. „საზოგადოდ გამოჩენილი ინგლისელები სკოლას არ შეუქმნია. დარვინს სკოლაში ყოფნის დროს ძალიან უყვარდა ქიმია, რისთვისაც დასცინოდნენ როგორც მოსწავლენი, ისე მასწავლებელნი. ბოკლმა 14 წლისამ მიანება სკოლას თავი“.

სტედმა წიგნების კითხვით ისე გაიმდიდრა გონება, რომ 19 წლისამ ერთის თხზულებისთვის (კრომველზე) ჯილდო მიიღო. სტედის ოცნება ისტორიკოსობა იყო, მაგრამ მალე საჟურნალო საქმეში გაერთო. ოცის წლისამ მიჰყო ხელი ჟურნალში წერას—დებიუტი დაიწყო წერილებით, რომლებშიაც დახატა საცოდავი მდგომარეობა უსაქმოდ დარჩენილთა. სტედს ამავე საგანზე წერილი შეუკვეთა „ნორძერნ ექო“-ს რედაქციამ. ერთის წლის შემდეგ სტედი ამ გაზეთის რედაქტორად გახდა.

ისე ცხარედ, გატაცებით და სიყვარულით წერა, როგორც სტედს, იშვიათ პუბლიცისტს შეუძლიან. 1883 წელს სტედი შეუდგა ღარიბ კლასთა მდგომარეობის აღწერას. წერილმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. პარლამენტმა კომისია დანიშნა. ბოლოს გამოიცა კანონი სადგომების შესახებ. მერე სტედმა ერთი საზიზღარი საქმე გამოამჟღავნა: ლონდონში თავისუფლად ჰყიდნენ თურმე 20—30 მანეთად პატარა ქალებს. ყიდულობდნენ ლორდები და მდიდარი ბურჟუა. სტედი იცავდა მუშებს, იცავდა ირლანდიელებს, თხოულობდა იმათთვის ჰომრულს და სხვას.

სტედმა ერთი კარგი საქმეც დაიწყო: გამოსცა მეტად იაფად კლასიკების ნაწარმოები, თხზულებანი ბაირონისა, გიუგოსი, დიკენსისა, ტეკკერეისა და სხვათა. თითო წიგნში 160 გვერდია და ღირს 4 კაპეიკად.

მე—ა.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული

მდინარემ ყველგან გააფუჭა წლის სიცივე მოჰყვა, რასაკვირველია, მოსავლისათვის ძრიად მავნებელი ბიდის, როგორც იქმნა, გამოიდარა, მაგრამ ვეჭვობთ ამას შემდეგ მოსავალი გასწორდეს, გამოკეთდეს. ეს რამდენიმე დღეა ზენა-ქარი ჰქრის და, რასაკვირველია, ბევრს დააკლებს მოსავალს.

ჩვენს სოფელში ეს რამდენიმე წელიწადია ერთ-კლასიანი სკოლა დაარსდა, გვინდოდა ბარემ მეორე კლასიც მიგვემატებინა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ.

მელიტონ კილასონია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აგვისტო

პიტერბურგი. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ღამე მშვიდობიანად გაატარა. თავს კარგად გრძნობს.

ლონდონი. პეკინიდან ამბავი მოვიდა, რუსეთის ელჩმა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობა, ნიუჩუანიდანა და მუკდენის პროვინციიდან რუსეთი 8 ოქტომბერს გაიყვანს ჯარსო; ამას გარდა ელჩმა თანხმობა გამოაცხადა, რომ მუკდენში უცხოელებს ვაჭრობის ნება მიეცესო.—ტოკიოდან იუწყებიან, კორეის მთავრობა მეცადინეობს, რომ მენიანგში უცხოელებს ვაჭრობა აუკრძალოს იმ პირობით-კი, რომ მენიანგის მაგიერ უცხოელებს ყინჩუში მისცეს ვაჭრობის ნება, მაგრამ იაპონია წინააღმდეგია ამისა.— ჯემპალგაში იაპონელ მეთევზეთა გემები დაიჭირეს, გემებზე იაპონელი ოფიცრებიც იყვნენ. ეს ოფიცრები ეხლა თითონ ადმირალ ალექსეევის ბრძანებით განთავისუფლდეს.

არიოლი. ტურგენევის პატივსაცემლად თავად-აზნაურთა კლუბში მუსიკალური საღამო გამართეს სავინასა და იუჟინის მონაწილეობით.

სამარა. ბირჟის კომიტეტმა ითხოვა, მდინარე ვოლგამდე რკინის გზა გაიმართოსო. ეს რკინის გზა იმდენად საჭიროა და საქონლის ზიდვა იმდენად გააიაფდება, რომ ვაჭრები თითონ იძლევიან რკინის გზის გასაყვანად საჭირო ფულს, იმ პირობით კი, რომ მერე ეს ფული დაუბრუნდეთ.

სოფია. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი მოვიდა აქ.

არიოლი. მიწათ-მოქმედების მინისტრი მოსკოვს წავიდა.

ვაშინგტონი. ადმირალი კოტონი იუწყება, ბეირუთში სისხლის ღვრა იმიტომ მოხდა, რომ მუსულმანები მტრულად უყურებენ ქრისტიანებსაო. ბეირუთში 7 ქრისტიანი მოუკლავთ.

ლისაბონი. ინგლისის მეფემ პორტუგალიის მეფე ინგლისის ფლოტის ადმირალად დანიშნა.

სოფია. არჩევანი 12 ოქტომბრისათვის დანიშნეს. მინისტრები სოფიაში დაბრუნდნენ. მთავრობა ხელ-ახლად შეუდგა მოხელეების გადაყენებას.—ოსმალეთის მთავრობამ უცხოელ კორესპონდენტებს მაკედონიაში მისვლა აუკრძალა.

კაირო. აქ ხმა დადის, რომ სირიაში დიდი შფოთიანობაა; ამბობენ, დრუზები იარაღს ისხამენო; ეშინიათ, რომ მუსულმანებმა დიბანშიაც არ ამოსწყვიტონ ქრისტიანები.

ბუდაპეშტი. იმპერატორი ვენას წავიდა.

სტამბოლი. ობუსი წავიდა; ხონთქრის ბძანება სახელმწიფო ვალების გაერთიანების თაობაზე ჯერ არ გამოსულა. ეს საქმე ხელმეორედ გადაეცა მინისტრთა საბჭოს. იმედი აღარა აქვთ, რომ ეს საქმე როდისმე გადასწყდეს.

სტამბოლი. სოფიიდან იუწყებიან, აქაურ მაკედონელთა დელეგატებმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მოწოდება ჩააბარეს. მოწოდება იმის თაობაზეა დაწერილი, რომ ოსმალეთის ჯარი მშვიდობიან ხალხს სდევნის და სოფლებს იკლებს და აოხრებს.—პორტამ რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის საელჩოებს კრძალვით მემორანდუმი ჩააბარა აჯანყებულთა რაზმების მოქმედების შესახებ ხალხის დასამშვიდებლად შემდეგი ღონისძიებაა მიღებული: ოფიციალურ ცნობებს ყველგან აცხადებენ; ოსმალი და ბერძენი მოხელეები და კომისიები სოფელ-სოფელ დადიან და მთაში გაქცეულ ხალხს სოფლებში დაბრუნებას ურჩევენ; კრუშევოსა და სხვა ადგილებში მთავრობის კომისიები გამოზავნეს, რომ ხალხს ჯარისა და ბაში-ბუზუკებისაგან წართმეული ქონება დაუბრუნონ. კრუშევოში 5 ათასი სული მიტოვებული საქონელი შეკრიბეს. გაძარცვულ სოფლებს პური, ტანსაცმელი და სხვა-და-სხვა ნივთეული ეძლევათ.

28 აგვისტო.

პიტერბურგი. „პრავ. ვესტ."-ში დაბეჭდილია, ჩრდილოეთ ამერიკაში რომ ცრუ-ეპისკოპოსი გამოჩნდა და სახელად ამერიკის მიტროპოლიტ სერაფიმს ირქმევს. უსტოვლის მღვდელი სტეფანე აღმოჩნდა. გაზეთი იუწყება უწმიდესი სინოდის აზრს ამ მღვდელზე და აცხადებს მას და ყველა მათ, ვინც იმას ემხრობა მატყუარად.

სტამბოლი. სულთანმა რუსეთის ელჩს აუწყა, რომ მან 500 ლირა გაუგზავნა ქრისტიანთა ოჯახებს, რომელნიც კრუშევოში ბაშიბუზუკებმა დახოცეს. რუმინიის მეფემ 1000 ფრანკი შესწირა.

ს. მიხეი. პირველი რუსული სკოლა გაიხსნა.

რიგა. წლის რიგის სრუტეში დაღუპული გემი „გენერალ ტოტლებენი" ზღვიდან ამოიღეს.

სტამბოლი. ირადე აცხადებს ყველგან სასტიკად გასჩხრიკონ სახლები ყველა სარწმუნოების ნოტაბლების თანდასწრებით. მონასტირისა და ადრიანოპოლის ვილაეტებში სახლების გაჩხრეკა დაიწყეს. მონასტირისა და დერეაგაჩში არაფერი არ მოჰყოლია ამას.—კორჩ კილისეს ოლქში მდგომი მხედრობა გელტეპეს შეკრიბეს, ბოლგარიის საზღვრიდან 9 კილომეტრის მანძილზე.—მაკედონიის ვილაეტიდან და ადრიანოპოლიდან მოსული კონსულების მოხსენებებით მტკიცდება, რომ სასტიკი ბრძანების გამო მთავრობა ენერგიულად და დაუნდობლად სპობს აჯანყებას. ბეირუთში მომხდარ შეტაკებაზე პორტის ცნობებით შემდეგს ვკითხულობთ: „რამდენიმე პირი, რომელთა ვინაობაც აქამდის არ იციან, დაეცნენ 4 მაჰმადიანს უბან მეზრაასში მიმავალთ, სრულიად უმიზეზოდ. მოხდა ჩხუბი, ჯარები ჩხუბში ჩაერივნენ და მოჩხუბარნი დაამშვიდეს. ჯარის კაცებიდან მოიკლა ერთი და სამიც დაიჭრა. მცხოვრებლების მხრივ მოკლული და დაჭრილი თითოა. ინგლისის კონსულმა ვითომ თვითონვე სთქვა, რომ ჩხუბის ამტეხნი ქრისტიანები უნდა იყვნენო.—ბერძენთა ელჩის ბახთიარ-ფაშასთან ჩივილის გამო კრუშევოში მომხდარ ამბებზე, ოსმალეთის მთავრობამ გასცა ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ მოახდინონ გამოძიება.

სტამბოლი. ბეირუთიდან კონსულები იუწყებიან, რომ ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში კიდევ ჰხოცვენ ქრისტიანთა. დიდი არეულობაა. ვაჭრობა აღარ სწარმოებს. მაჰმადიანები გაიქცნენ.

საელჩოს წევრთა კრებამ გადასწყვიტა მოითხოვოს დაუყოვნებლივ გაიწვიონ ვალი (გუბერნატორი) და სთხოვოს ამერიკის ადმირალს, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიფაროს უცხოეთის ელჩები. ნაპირას გადმოსასხმელად 500 ჯარის-კაცი ჰყავთ მზად. ელიან სხვა სამხედრო გემებს.

ბუდაპეშტი. იმპერატორი გალიციაში ჯარების დათვალიერების შემდეგ, ბუდაპეშტს წავა, სადაც 16 სექტემბრამდე დაჰყოფს.

ლონდონი. ვიკონტი კრანბორნი, რომელიც ეხლა მარკიზ სალისბიურია, სტოვებს გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარის თანამდებობას. მის მაგიერად ინიშნება ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარის თანაშემწე გრაფი პერსი.

ბელგრადი. გაზეთებ „ნაროდნი ლისტის" და „ვეჩერნე ნოვოსტი"-ს წინააღმდეგ მანიფესტაცია გამართა ბრბომ, დაახლოვებით 1000 კაცამდე. ბრბომ ფანჯრები ჩაამტვრია. გაზეთების თანამშრომლებმა სროლა დაუწყეს ხალხს და დასჭრეს რამდენიმე. ჟანდარმებმა ბრბო გაჰფანტეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 26 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაზე	$45{,}92^1/_2$
პარიზისაზე 100 ფრანკზე	$37{,}27^1/_2$
ლონდონისაზე ჩეკები	94,40
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე "	$37{,}52^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5\text{-}6^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2\%$ შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$95^1/_4$ "
5% 1-ლ შინაგან სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	$443^3/_4$ "
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ ბილ. 1866 წ.	335 "
5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$288^1/_2$ "
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სააღგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
$4^1/_2\%$ გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სააღგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	$187^1/_4$ "

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს., 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.). 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

ვეძებ გამოცდილ

ბუხჰალტერს.

ადრესი: ქუთაისი—ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძის მაღაზია. (3—1632—3)

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფერდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის. (მც. 1—3)

წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

მიღებული იქნება ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ამა 1893 წ. 1-ლ სექტემბერს.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის ზედამხედველს სვიმონ ხუნდაძეს სოფ. წინამძღვრიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სკოლაში ყმა[illegible]უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და [illegible]ასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ა[illegible]ათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორი მხრიდან მოსულ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია 30 მოწაფისათვის სადგომი. ყველა საქმეს ამ სადგომისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო მოწაფის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი.

ვისაც სურს, მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგომში, იმან უნდა წარმოადგინოს: ერთი წლის შესანახი ფული 84 მანათი პირველს სექტემბერს.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანისამოსი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. თუკი ყმაწვილი სადგომიდან გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგომის სასარგებლოდ.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Станція Мцхеть, смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельско-хозяйственной школы. (3—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლ. ხოვან პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მეუღლის ქუჩ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთ-განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—221)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პლატონისა	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმლებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაუენება პროფესს. გ. პეტრიაშვილის	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეხლავე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ 28 Августа, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат Т—ва)